Sigillum Dei Vivi

ცოცხალი ღმერთის ბეჭედი

ეს განსაკუთრებული ლოცვა მამა ღმერთისგან წინასწარმეტყველი მარიამისთვის ბოძებული საჩუქარია, ღვთის წყალობა ღმერთის ყველა შვილის დასაცავად. ეს 351-ე შეტყობინებაა, მიღებული 2012 წლის 20 თებერვალს.

ყველას, ვინც ბეჭედს მიიღებს, შესთავაზებენ დაცვას მისი ოჯახის ყოველი წევრისთვის ქრისტეს მეორედმოსვლის წინარე პერიოდის განმავლობაში.

ადექით ახლავე და მიიღეთ ჩემი ბეჭედი, ცოცხალი ღმერთის ბეჭედი. წარმოსთქვით ჯვაროსნული ლოცვა (33), რათა აღიაროთ ჩემი ბეჭედი და მიიღეთ ის სიყვარულით, სიხარულითა და მადლიერებით.

ო, ღმერთო ჩემო, ჩემო მოსიყვარულე მამავ, მე ვღებულობ შენს დაცვის ღვთიურ ბეჭედს სიყვარულითა და მადლიერებით. შენი ღვთაებრიობა მოიცავს ჩემს სხეულს და სულს სამარადისოდ. ქედს ვიხრი მოწიწებული მადლიერებით და გთავაზობ ჩემს ღრმა სიყვარულსა და ერთგულებას შენდამი, ჩემო უსაყვარლესო მამა. გევედრები, დაგვიცავი მე და ჩემთვის ძვირფასი ადამიანები ამ განსაკუთრებული ბეჭდით და გპირდები, რომ ჩემი სიცოცხლე შენს სამსახურშია აწ და მარადის. ხარ, ძვირფასო მამა. განუგეშებ ამ დროს, ძვირფასო მამა. გთავაზობ შენი უძვირფასესი ძის სხეულს, სისხლს, სულსა და ღვთაებრიობას მსოფლიო ცოდვების გამოსყიდვისთვის და შენი ყველა შვილის ხსნისათვის. ამინ.

წადით, ჩემო შვილებო და ნუ შეშინდებით. გწამდეთ ჩემი, თქვენი ძვირფასი მამის, რომელმაც სიყვარულით შეგქმნათ ყოველი თქვენგანი. მე ვიცნობ ყოველ ცალკეულ სულს, თქვენი ყოველი ნაწილი ჩემთვის ცნობილია. არცერთი არ მიყვარს სხვაზე ნაკლებ. ამის გამო არცერთი სულის დაკარგვა არ მინდა. არცერთის. გთხოვთ, განაგრძეთ ჩემი ღვთის წყალობის კრიალოსნით წასაკითხი ლოცვა ყოველ დღე. ერთ დღეს, თქვენ მიხვდებით, თუ რატომაა საჭირო ეს განწმენდა.

თქვენი მოსიყვარულე ზეციერი მამა

უზენაესი ღმერთი